საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990130639036319

№02/63 **12 / აგვისტო / 2019 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.

2.დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3.დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

4.ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.№52) .

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		სოფელი ღარის წისქვილი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ღარი	არქიტექტურის / ეთნოგრაფიული	XX საუკუნის I ნახევარი
2.		ყრუაშვილების ოდა-სახლი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოტევი GPS კოორდ. X- 42.47541; Y- 43.14608	არქიტექტურის	XIX-XX საუკუნეების მიჯნა
3.		სხვავას ხიდი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვავა GPS კოორდ. X-42.49430; Y-43.22146	არქიტექტურის / საინჟინრო	შუა საუკუნეები
4.		ზურაბ მაისაშვილის ოდა-სახლი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. წესი GPS კოორდ. X- 42.53938; Y- 43.20730	არქიტექტურის	XIX საუკუნის II ნახევარი
5.		კოტე ლაშხის ოდა-სახლი	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვაცხუთი **GPS კოორდ. X-42.52767; Y-43.16819**	არქიტექტურის	XX საუკუნის დასაწყისი

6.		ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალშენი (ძველი კარიაკი) (ს/კ 85.03.25.379)	არქიტექტურის	1869 წელი
7.		გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. სასირეთი **GPS კოორდ.** 41.927177° 44.308437°	არქიტექტურის / მემორიალური	XIX საუკუნის II ნახევარი
8.		წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. საცხენისი	არქიტექტურის	X საუკუნე, გვიანფეოდალური ხანა, XIX საუკუნე ადრეფეოდალური ხანის კედლის ფრაგმენტები
9.		**კუნტურის (კუნტუს) ეკლესია.**	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეთრი წყლები **GPS კოორდ.** X 530297.645 Y 4633189.979	არქიტექტურის	XI-XVI საუკუნეები
10.		**ქაჯანხევის მცირე ეკლესია**	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეთრი წყლები **GPS კოორდ.** X 528620 Y 4632915	არქიტექტურის	**გვიანი შუა საუკუნეები**
11.		**ფსიტის(ფსიტიანის, საფსტეს, თურდოს) ციხე**	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეთრი წყლები **GPS კოორდ.** X 530267 Y 4634357	არქიტექტურის	XI-XVI საუკუნე

12.		**ღვთისმშობლის ეკლესია**	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. თეთრი წყლები **GPS კოორდ.** X 529845 Y 4634392	არქიტექტურის	VIII-IX საუკუნეები
13.		„ალგეთის ბაზილიკა“	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ტბისი	მონუმენტური სახვითი ხელოვნების	1982-1983 წლები
14.		ჭერულის ეკლესია	ახალქალაქის რაიონი, სოფ. აზავრეთი **GPS კოორდ.** 372661.79 4608855.09	არქიტექტურის	XII-XIII საუკუნები
15.		საოფიცრო სასტუმრო	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ.N19 (ს/კ84.01.38.042)	არქიტექტურის / ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	XIX საუკუნე
16.		ჯუთის ეკლესია	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯუთა **GPS კოორდ.** X 482235 Y 4715780	არქიტექტურის / არქეოლოგიური	განვითარებული შუა საუკუნეები
17.		ცილინდრული კოშკი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასირეთი **GPS კოორდ.** 41°55.399 044°18.595	არქიტექტურის	XVIII საუკუნე